

## აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში ინვესტიციების როლი

მანანა შალამბერიძე<sup>1</sup>; თინათინი გუგუშავილი<sup>2</sup>

<sup>1</sup>ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
[manana.shalamberidze@atsu.edu.ge](mailto:manana.shalamberidze@atsu.edu.ge); <sup>2</sup>ასოცირებული პროფესორი აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი [tinatin.gugeshashvili@atsu.edu.ge](mailto:tinatin.gugeshashvili@atsu.edu.ge)

### რეზიუმე

საბაზრო მეურნეობის მართვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობა. კაპიტალის კვლავწარმოებისა და ინვესტიციური პროცესების აქტივობა, რომელიც განსაზღვრავს წარმოების განვითარებას.. ინვესტიციები საშუალებას იძლევა, აღმოიფხვრას არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, გახდეს დამატებითი იმპულსი საზოგადოებრივი განვითარებისათვის.

ჩვენი ქვეყნისათვის ინვესტიციების ზრდას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც აგროსასურსათო სექტორის განვითარება წარმოუდგენელია წარმოებისა და მომსახურების სფეროების აღმავლობის გარეშე, რასაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები ესაჭიროება. როგორც ცნობილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მშპ-ს ზრდაზე, შემოსავლების დონეებსა და განაწილებაზე, დასაქმებასა და ხელფასებზე, სავაჭრო ბალანსზე (ექსპორტ-იმპორტზე), მიმდინარე და კაპიტალურ ანგარიშებზე, გადასახადების შეგროვებაზე, ტექნოლოგიების გადაცემაზე, ცოდნისა და მართვის უნარ-ჩვევებზე. საქართველოსთვის აუცილებელია უცხოური კაპიტალი, რომელიც ქვეყნისათვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიებისა და მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვას შეუწყობს ხელს და ასევე შიდა ინვესტიციებს წაახალისებს.

**საკვანძო სიტყვები:** აგროსასურსათო სექტორი, ინვენსტიციები, ინვესტორები, საინვენსტისიო გარემო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივი გამოყენება ქვეყნის ეკონომიკისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დადებითი შედეგის მიღწევის უპირველესი გარანტია იქნება მკაფიოდ განსაზღვრული, კონკურენტუნარიანი წარმოებისკენ მიმართული აგრარული პოლიტიკის შემუშავება და ეკონომიკის ამ სექტორში ფინანსური რესურსების მოზიდვის ხელშეწყობა.


ბოლო წლების განმავლობაში მთავრობის ძალისხმევისა და კერძო სექტორის, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად, შეინიშნება საკმაოდ პოზიტიური ტენდენციები წარმოების ზრდის, საექსპორტო ბაზრების გაფართოების და სოფლის მეურნეობის სექტორში ინვესტიციების დაბანდების თვალსაზრისით, რომელიც ხელს შეუწყობს ფინანსური რესურსების მოზიდვას. სოფლის მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია ძირითადად შინა მეურნეობებისთვის გამოიყენება, ამ დარგში მიმართულმა ინვესტიციებმა უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა. ინვესტიციები საშუალებას მისცემს, აღმოიფხვრას არსებული სოციალურ – ეკონომიკური პრობლემები, გახდეს დამატებითი ძალა საზოგადოებრივი განვითარებისათვის., ინვესტიციები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს აგროსასურსათო სექტორის განვითარებაში და კონკურენტუნარიანობის ზრდის ეფექტიან საშუალებას.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, მიზან მიმართული და გააზრებული საინვესტიციო ნაბიჯების გადადგმა. მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტიანი განთავსების ორგანიზაცია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას. სწორედ, ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს აგრარული სექტორის განვითარებისათვის აქტუალურ პირობას, რისთვისაც საჭიროა საინვესტიციო გარემოს ძირეული პრობლემების განსაზღვრისა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება, რისთვისაც აუცილებელია;

- საინვესტიციო პროცესების როლის ზრდა სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებაში;
- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიმართულებების დაგეგმვა ;
- სახელმწიფო აგრარული პროგრამების და გამოწვევების სწორი იმპლემენტაცია.

აგროსასურსათო დარგით ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორთა დაინტერესების ზრდისა და სოფლის მეურნეობის სექტორში გადამუშავებული საწარმოების გახსნით სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს ხელი შეუწყოს აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციების შემოღებისათვის ხელსაყრელი გარემო-პირობების ჩამოყალიბებას. ქვეყანაში წარმოებული აგროსასურსათო პროდუქციის რეალიზაციისა და უცხოურ ბაზრებზე უფრო მაღალი ნიშების დაკავების ხელშესაწყობად, სამინისტრო თავის ადგილობრივ თუ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად, ხელს შეუწყობს წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას. აგრარულ სექტორში წარმოების სტიმულირების კუთხით სადაზღვევო და სალიზინგო სისტემების დანერგვას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა ქვეყანაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდასთან ერთად, უცხოური ბაზრების შედარებით მაღალი ნიშების დაკავებაცაა, რაც დღის წესრიგში აყენებს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის აუცილებლობას, აგროსასურსათო სექტორში ინვესტიციების დონის ზრდას.




წყარო : <https://www.geostat.ge/ka>

როგორც ვხედავთ, წლების მიხედვით ცვალებადია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, განსაკუთრებით შესამჩნევია ცვლილება 2024 წელს როცა მთლიანობაში მხოლოდ 719 ათასი ლარი იქნა მოზიდული ( IV კვარტლის გარეშე), სწორედ ამიტომ აუცილებელია ინვესტიციების და ინვესტიციების მოზიდვა აგროსასურსათო სექტორის განვითარებისთვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით

დიაგრამა 1



წყარო-<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi>

დიაგრამის ანალიზიდან ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სოფლის მეურნეობა გაერთიანებულია ეკონომიკის დანარჩენ სექტორებში და შეადგენს მთლიანი მოცულობის 1,2%, 2024 წლის სამი კვარტლის მიხედვით. რაც სამწუხაროდ არ იძლევა დარგის განვითარების სასურველ პირობას.

როგორც ვხედავთ, წლების მიხედვით ცვალებადია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, განსაკუთრებით შესამჩნევია ცვლილება 2024 წელს როცა მთლიანობაში მხოლოდ 719 ათასი ლარი იქნა მოზიდული ( IV კვარტლის გარეშე), სწორედ ამიტომ აუცილებელია ინვესტიციების და ინვესტიციების მოზიდვა აგროსასურსათო სექტორის განვითარებისთვის.

### **დასკვნა.**

ამდენად, საბაზრო მეურნეობის მართვის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია ეფექტიანი საინვესტიციო საქმიანობა, კაპიტალის კვლავწარმოებისა და ინვესტიციური პროცესების აქტივობა, რომელიც განსაზღვრავს წარმოების განვითარებას. ინვესტიციები საშუალებას იძლევა, აღმოიფხვრას არსებული სოციალურ – ეკონომიკური პრობლემები, გახდეს დამატებითი იმპულსი საზოგადოებრივი განვითარებისათვის. ინვესტიციები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს საწარმოო საქმიანობის განახლებისათვის, კონკურენტუნარიანობის ზრდის ეფექტიან საშუალებას, მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის პოზიციების გაფართოებისა და გამყარების საუკეთესო წინაპირობას. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია, მიზანმიმართული და გააზრებული საინვესტიციო ნაბიჯების გადადგმა. მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვანია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი და უცხოური კაპიტალის შერწყმა და მათი ეფექტიანი განთავსების ორგანიზაცია, რაც დიდად შეუწყობს ხელს საქართველოში ეკონომიკური ურთიერთობების დაბალანსებას, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და ეკონომიკურ ზრდას.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგია“.
2. სოფლის მეურნეობის განვითარება ევროპაში, FAO-ს საინვესტიციო ცენტრი, სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka>
4. ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო

# The role of investments in the development of the agri-food sector

Manana Shalamberidze<sup>1</sup>, Tinatin Gugeshashvili<sup>2</sup>

<sup>1</sup>Associate Professor, Akaki Tsereteli State University; <sup>2</sup>Associate Professor Akaki Tsereteli State University

## Summary

An important component of market economy management is effective investment activity. The activity of capital reproduction and investment processes that determine the development of production. Investments allow to eliminate existing socio-economic problems, to become an additional impetus for social development.

For our country, the growth of investments is of crucial importance, since the development of the agri-food sector is unthinkable without the growth of production and service sectors, which, in turn, requires significant financial resources. Foreign direct investment has a significant impact on GDP growth, income levels and distribution, employment and wages, trade balance (export-import), current and capital accounts, tax collection, technology transfer, knowledge and management skills. Georgia needs foreign capital, which will contribute to the introduction of new capital, advanced technologies and modern management methods into the country, and will also encourage domestic investments.

**Keywords:** agri-food sector, investments, investors, investment environment.